



სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მომხმარებლის სახელმძღვანელო

SMP, CMR, ePLAN და რანჟირების ელექტრონული
მოდულები

წინამდებარე სისტემის მომხმარებლის სახელმძღვანელოში მოცემულია SMP, CMR, ePLAN და რანჟირების მოდულების ინსტრუქციები. სახელმძღვანელოს მიზანია მომხმარებლებს გააცნოს სისტემის ფუნქციონალი და იგი არ შეიძლება მიჩნეულ იქნას სატენდერო პროცედურების ჩატარების წესად. სატენდერო პროცედურების მარეგულირებელი ნორმატიული აქტები განთავსებულია სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებსაიტზე - <http://www.procurement.gov.ge>.

ვერსია 2.0



სარჩევი


1.	გამარტივებული შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების გამოქვეყნება SMP მოდულში	3
1.1	„მოცდის პერიოდი“, გადაწყვეტილების მიღება, მომართვის სტატუსები და მომართვის რედაქტირება.....	7
1.2	გამარტივებული შესყიდვების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების ძებნა SMP მოდულში, დაინტერესებული პირის მიერ გასაჩივრება და მომართვაზე კომენტარის დაფიქსირება.....	10
2.	ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის ანგარიშები (CMR).....	13
3.	ელექტრონული გეგმის მოდული (ePLAN).....	20
4.	რანჟირების მოდული.....	23



1. გამარტივებული შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების გამოქვეყნება SMP მოდულში

გამარტივებული შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების გამოქვეყნების/შეთანხმების მოდულში (შემდგომში SMP მოდული) გამოსაქვეყნებლად პირველ რიგში უნდა გაიაროთ ავტორიზაცია სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონულ სისტემაში (არსებული მომხმარებლის სახელითა და კოდით). სისტემაში შესვლის შემდეგ გადადით SMP მოდულში (იხ. #1 სურათი) და დააჭირეთ ღილაკს “ახალი ჩანაწერი”.

სურათი #1



ღილაკზე დაჭერის შედეგად ეკრანზე გამოვა გამარტივებული შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების გამოქვეყნების/შეთანხმების ფორმა, შესაბამისი შესავსები და მოსანიშნი ველებით (იხ. #2 სურათი)¹.

¹ აღნიშნული შესავსები ფორმა იცვლება მონიშნული შესყიდვის საფუძვლის შესაბამისად.



სურათი #2

ახალი ჩანაწერი ✕

შესყიდვის საფუძველი

- ექსკლუზიური უფლებამოსილება
- გადაუდებელი აუცილებლობა
- შეთანხმება/გადანყვეტილება გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის შემდგომ
- ხარისხის გაუარესების თავიდან აცილება
- ღონისძიების შემდგომ ვადებში შეუფერხებლად ჩატარება
- ნების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“-„ი“ ქვეპუნქტებით, ასევე იმავე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული საფუძველი
- ცვლილება სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ მიღებულ გადანყვეტილებაში

მიმწოდებელი რეზიდენტი არარეზიდენტი

კოდი სახელი

ბემდგომი ორგანო ...🔍

კლასიფიკატორის კოდები ...🔍

CPV

შესყიდვის ობიექტის მინოდების ვადები

შესყიდვის ღირებულება

შენიშვნა

ჩანწერა გაუქმება

აღნიშნული ინფორმაციის სრულად მითითების შემდეგ უნდა დააჭიროთ ჩანწერა ღილაკს რის შემდეგაც სისტემაში ავტომატურად შეიქმნება მომართვის პროექტი და სისტემა დააგენერირებს თქვენ მიერ მითითებული ინფორმაციის შესაბამის კითხვარს, რომლის შევსებაც სავალდებულოა გამარტივებული შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების SMP მოდულში რეგისტრაციისათვის (კითხვარის მაგალითი მოცემულია #3 სურათზე).



სურათი #3

1. რა არის შესყიდვის ობიექტი?

✳ პასუხი

2. რით არის განპირობებული შესყიდვის საჭიროება?

✳ პასუხი

3. რა მეთოდით დადგინდა პირის ექსკლუზიური უფლებამოსილება?

✳ პასუხი

4. რა მეთოდით დადგინდა, რომ არ არსებობს მიზანშეწონილი ალტერნატივა შესყიდვის ობიექტის ჩასანაცვლებლად?

✳ პასუხი

კითხვებზე პასუხების გასაცემად საჭიროა დააჭიროთ ღილაკს და შესაბამისი ინფორმაციის ჩაწერის/მონიშვნის/ატვირთვის შემდგომ დააჭიროთ ღილაკს (იხ. სურათი #4 და #5).

სურათი #4

კითხვა/პასუხი



5. რა მეთოდით განისაზღვრა შესყიდვის სავარაუდო ღირებულება?



სურათი #5

კითხვა/პასუხი ✕

7. რამდენად შესაძლებელია, რომ შესყიდვის ობიექტი დანაწევრდეს ცალკეულ კომპონენტებად და იმგვარად იქნეს შესყიდული? (კი/არა)

კი

არა

გამარტივებული შესყიდვის შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილების ასატვირთად დააჭირეთ ღილაკს , რომელიც მოცემულია „გთხოვთ ატვირთოთ გამარტივებული შესყიდვის შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილება“ ველის ქვემოთ. შემდეგ დააჭირეთ ღილაკს „Choose File“, აირჩიეთ საჭირო დოკუმენტი თქვენი კომპიუტერიდან და დააჭიროთ ღილაკს „ჩაწერა“.

საჭიროების შემთხვევაში თქვენ საშუალება გაქვთ თქვენს ჩანაწერს დაურთოთ დამატებითი ინფორმაცია PDF ფაილის სახით. ამისათვის უნდა დააჭიროთ ღილაკს „Choose File“, შემდეგ აირჩიოთ საჭირო დოკუმენტი თქვენი კომპიუტერიდან და დააჭიროთ ღილაკს „მიმაგრება“.

გამარტივებული შესყიდვის შესახებ გადაწყვეტილების SMP მოდულში დასარეგისტრირებლად აუცილებელია დააჭიროთ ღილაკს. თუ გსურთ პროექტში ცვლილების შეტანა დააჭირეთ ღილაკს. პროექტის წაშლა შესაძლებელია ღილაკზე დაჭერით (იხ. სურათი #6).

სურათი #6

◀ უკან
🔗 განახლება
✎ რედაქტირება
⚙ რეგისტრაცია
🗑 წაშლა
⚙ საჩივრები

იმისათვის, რომ მოძებნოთ თქვენ მიერ შექმნილი პროექტები უნდა მონიშნოთ ველი - „ძებნა ჩემს ჩანაწერებში“ და დააჭიროთ ღილაკს „ძებნა“ (იხ. სურათი #7).

სურათი #7

ძებნა ჩემს ჩანაწერებში

✎



1.1 „მოცდის პერიოდი“, გადაწყვეტილების მიღება, მომართვის სტატუსები და მომართვის რედაქტირება

შემსყიდველის მიერ გამოქვეყნებულ გადაწყვეტილებას, თუ გამარტივებული შესყიდვის ღირებულება სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი ევროკავშირის დირექტივებით დადგენილ მონეტარულ ზღვრებზე ნაკლებია ავტომატურად, გამოქვეყნებისთანავე ენიჭება მომართვის ნომერი და **სტატუსი - „განიხილება“** (იხ. სურათი #8). სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო (შემდგომში სააგენტო) იხილავს და იღებს გადაწყვეტილებას შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვიდან, არაუადრეს 2 და არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში.

სურათი #8

The screenshot shows a web interface for a procurement system. At the top right, a red-bordered box contains the text "SMP210000015 > განიხილება". Below this, there are navigation tabs: "უკან", "განახლება", and "საჩივრები". A secondary bar shows "კითხვარი/განხილვები" and "კომენტარები (0)". The main content area displays the following details:

- მიმწოდებელი: შემდგომი ორგანო
- შემსყიდველი: სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
- შესყიდვის საფუძველი: ლევან ბაინდურაშვილი
- შესყიდვის საფუძველი: ექსკლუზიური უფლებამოსილება
- მიწოდების ვადები: 11.03.2021 - 26.03.2021
- შესყიდვის ღირებულება: 100000 ლარი
- შესყიდვის კატეგორია: 39100000 - ავეჯი
- კლასიფიკატორის კოდები: 39100000 - ავეჯი
- შენიშვნა: სატესტო
- მიმდარბული ფაილები: ფაილ(ებ)ი არ არის

განიხილის საბოლოო თარიღი: 04.03.2021

თუ გამარტივებული შესყიდვის ღირებულება შეადგენს ან აღემატება სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი ევროკავშირის დირექტივებით დადგენილ მონეტარულ ზღვრებს, გამოქვეყნებულ გადაწყვეტილებას ავტომატურად, გამოქვეყნებისთანავე ენიჭება მომართვის ნომერი და **სტატუსი - „გამოქვეყნებულია“** (იხ. სურათი #9). ე.წ. „მოცდის პერიოდის“ (რომელიც შეადგენს 10 კალენდარულ დღეს) გასვლის შემდგომ, მომართვას სისტემა ავტომატურად ანიჭებს **სტატუსს - „განიხილება“**.



სურათი #9

← უკან ↻ განახლება ✎ რედაქტირება ⚙️ საჩივრები **SMP21000009 > გამოქვეყნებულია**

კითხვარი/განცხადება კომენტარები (0)

განხილვის საბოლოო თარიღი: 22.02.2021

მიმწოდებელი	სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
ბემდგომი ორგანო	ლევან ბაინდურაშვილი
შემსყიდველი	ექსკლუზიური უფლებამოსილება
შესყიდვის საფუძველი	28.02.2021 - 31.03.2021
მიწოდების ვადები	1000000 ლარი
შესყიდვის ღირებულება	39100000 - ავეჯი
შესყიდვის კატეგორია	39100000 - ავეჯი
კლასიფიკატორის კოდები	39100000 - ავეჯი
შენიშვნა	სატესტო შესყიდვა
მიმაგრებული ფაილები	ფაილ(ებ)ი არ არის

„მოცდის პერიოდის“ დასრულებამდე შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მოახდინოს მომართვის რედაქტირება (იხ. სურათი #10). ცვლილების განსახორციელებლად შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია პირველ რიგში, SMP მოდულში ატვირთოს შესაბამისი ცვლილების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება. აღნიშნულის გარეშე იგი ვერ შეძლებს რედაქტირების განხორციელებას. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გადაწყვეტილებაში შეტანილი ცვლილების შედეგად, გამარტივებული შესყიდვის ღირებულება იცვლება იმგვარად, რომ ღირებულება სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი ევროკავშირის დირექტივებით დადგენილ მონეტარულ ზღვრებზე ნაკლებია, გადაწყვეტილებას ენიჭება **სტატუსი - „გამოქვეყნება შეწყვეტილია“**.

სურათი #10

← უკან ↻ განახლება **რედაქტირება** ⚙️ საჩივრები **SMP21000009 > გამოქვეყნებულია**

იმ შემთხვევაში, თუ გამარტივებული შესყიდვის ღირებულება შეადგენს ან აღემატება სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი ევროკავშირის დირექტივებით დადგენილ მონეტარულ ზღვრებს და მასზედ წარდგენილი საჩივარი სრულად ან ნაწილობრივ იქნა დაკმაყოფილებული სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს (შემდგომში საბჭო) მიერ, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია გადასინჯოს ან გააუქმოს გამარტივებული შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება. ასეთ შემთხვევაში, SMP მოდულში რეგისტრირებულ მომართვას ენიჭება **სტატუსი - „არ მიემართება შესათანხმებლად“** ან **სტატუსი - „გამოქვეყნების პროცესი შეწყვეტილია“**.



შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს, სააგენტოსთან შეთანხმების ვადაში გაიხმოს სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება. ასეთ შემთხვევაში მომართვას ავტომატურად ენიჭება **სტატუსი - „განზომილია“**.

სააგენტო უფლებამოსილია შემსყიდველს მოთხოვოს მომართვის დაზუსტება, თუ იგი არ შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და/ან არ შეიცავს სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ინფორმაციას. ასეთ შემთხვევაში მომართვას ენიჭება **სტატუსი - „დასაზუსტებელია“** და შემსყიდველ ორგანიზაციას მომართვის დასაზუსტებლად განესაზღვრება 1 სამუშაო დღის ვადა, რა პერიოდშიც სააგენტო მიერ გადაწყვეტილების მიღების ვადის დინება ჩერდება.

თუ შემსყიდველი ორგანიზაცია დააზუსტებს მომართვას დადგენილ ვადაში, იგი მას ანიჭებს **სტატუსს - „დაზუსტებულია“**. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი არ დააზუსტებს ან არასრულყოფილად დააზუსტებს მომართვას, მას ენიჭება **სტატუსი - „განუხილველი“**.

იმ შემთხვევაში, თუ მომართვა არ შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, სააგენტო დასაბუთებულ ურს უცხადებს შემსყიდველ ორგანიზაციას გამარტივებულ შესყიდვაზე თანხმობის მიცემაზე. ასეთ შემთხვევაში, მომართვას ენიჭება **სტატუსი - „უარყოფილია“**.

თუ, წარდგენილი მომართვა სრულად შეესაბამება კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას მომართვაზე თანხმობის გაცემაზე და მომართვას ენიჭება **სტატუსი - „თანხმობა გაცემულია“**.

შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს, „მოცდის პერიოდის“ განმავლობაში, გააუქმოს გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება. გაუქმების შემთხვევაში, გადაწყვეტილებას ენიჭება **სტატუსი - „გაუქმებულია“** და შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, SMP მოდულში ატვირთოს შესაბამისი გადაწყვეტილება.



1.2 გამარტივებული შესყიდვების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების ძებნა SMP მოდულში, დაინტერესებული პირის მიერ გასაჩივრება და მომართვაზე კომენტარის დაფიქსირება

სახელმწიფო შესყიდვების პროცესებში გამჭვირვალობის პრინციპიდან გამომდინარე, გამარტივებული შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების დადებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, მათი SMP მოდულში გამოქვეყნებისთანავე არის საჯარო და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

გამარტივებული შესყიდვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ძებნა ხორციელდება SMP მოდულში ჩაშენებული ძებნის ფილტრებით, როგორც ეს ნაჩვენებია #11 სურათზე.

სურათი #11

The screenshot displays the search interface for simplified procurement items. On the left, there are several filter categories: 'SMP #', 'საგანმომარაგებლის სტატუსი', 'შემსყიდველი (კოდი/ID)', 'შემსყიდველი (სახელი)', 'მიმწოდებელი (კოდი/ID)', 'მიმწოდებელი (სახელი)', 'შესყიდვის საფეხველი', 'შესყიდვის მდგომარეობა', 'შესყიდვის კატეგორია', and 'კლასიფიკატორის კოდები'. Below these is a 'CPV' section and a 'თარიღი (-დან/-მდე)' field. The main area shows a list of items with the following details:

SMP #	შესყიდვის სახელი	შემსყიდველი	მიმწოდებელი	თანხა	სტატუსი/თარიღი
SMP210000017	ექსკლუზიური უფლებამოსილება	აიტი ტესტ	14300000 - ქიმიური და სასუქი მინერალები	500'000.00 EUR	გამოქვეყნებულია 26.02.2021 11:54
SMP210000016	ექსკლუზიური უფლებამოსილება	აიტი ტესტ	14400000 - მარილისა და სუფთა ნატრიუმის ქლორიდი	1'233.00 EUR	განიხილება 26.02.2021 11:53
SMP210000015	ექსკლუზიური უფლებამოსილება	ლევან ბაინდერაშვილი	39100000 - ავეჯი	100'000.00 GEL	განიხილება 26.02.2021 01:13
SMP210000014	მიმწოდებლისაგან შესყიდული ობიექტის ხარისხის გაუმჯობესების თავიდან აცილება ან/და მისი შემდგომი ექსპლუატაციის უზრუნველყოფა	შემსყიდველი A	09200000 - ნავთობი, ქვანახშირი და ნავთობპროდუქტები 45500000 - სამშენებლო და სამოქალაქო მშენებლობის მანქანა-დანადგარებისა და მათი ოპერატორების დაქირავება	9'898'989.00 GEL	გამოქვეყნებულია 24.02.2021 20:26

იმ შემთხვევაში, თუ გამარტივებული შესყიდვის ღირებულება შეადგენს ან აღემატება სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი ევროკავშირის დირექტივებით დადგენილ მონეტარულ ზღვრებს, დაინტერესებულ პირებს უფლება აქვთ, საჭიროების შემთხვევაში გადაწყვეტილება გაასაჩივრონ საბჭოში. გადაწყვეტილებაზე საჩივრის წარდგენა ხორციელდება „გასაჩივრება“ ღილაკის მეშვეობით (იხ. სურათი #12).



სურათი #12

უკან	განახლება	საჩივრები	გასაჩივრება	SMP21000009 > გამოქვეყნებულია
კითხვარი/განცხადება		კომენტარები (0)		
განხილვის საბოლოო თარიღი: 22.02.2021				
მიმწოდებელი	(საქართველოს რეზიდენტი)			
ზემდგომი ორგანო	სსიპ სახელწიფო შესყიდვების სააგენტო			
შემსყიდველი				
შესყიდვის საფუძველი	ექსკლუზიური უფლებამოსილება			
მინოდების ვადები	28.02.2021 - 31.03.2021			
შესყიდვის ღირებულება	1000000 ლარი			
შესყიდვის კატეგორია	39100000 - ავეჯი			
კლასიფიკატორის კოდები	39100000 - ავეჯი			
შენიშვნა	სატესტო შესყიდვა			
მიმაგრებული ფაილები	ფაილ(ებ)ი არ არის			

ლილაკი - „საჩივრები“ მეშვეობით (იხ. სურათი #13) დაინტერესებულ პირებს საშუალება აქვთ, გაეცნონ სხვა დაინტერესებული პირების მიერ გადაწყვეტილებაზე წარდგენილ საჩივრებს.

სურათი #13

უკან	განახლება	საჩივრები	გასაჩივრება	SMP21000009 > გამოქვეყნებულია
კითხვარი/განცხადება		კომენტარები (0)		
განხილვის საბოლოო თარიღი: 22.02.2021				
მიმწოდებელი	(საქართველოს რეზიდენტი)			
ზემდგომი ორგანო	სსიპ სახელწიფო შესყიდვების სააგენტო			
შემსყიდველი				
შესყიდვის საფუძველი	ექსკლუზიური უფლებამოსილება			
მინოდების ვადები	28.02.2021 - 31.03.2021			
შესყიდვის ღირებულება	1000000 ლარი			
შესყიდვის კატეგორია	39100000 - ავეჯი			
კლასიფიკატორის კოდები	39100000 - ავეჯი			
შენიშვნა	სატესტო შესყიდვა			
მიმაგრებული ფაილები	ფაილ(ებ)ი არ არის			

გარდა ამისა, სისტემაში რეგისტრირებულ მომხმარებელს და სტუმარს² შეუძლიათ, სააგენტოს მიერ შემსყიდველის მომართვაზე გადაწყვეტილების მიღებამდე, წარადგინონ მათი მოსაზრებები შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, SMP მოდულში არსებული კომენტარების ფუნქციის გამოყენებით. მოსაზრების დასაფიქსირებლად უნდა დააჭიროთ ლილაკს - „კომენტარები“, რომელიც

² იმისათვის რომ, სტუმრის სტატუსით მოსარგებლე დაინტერესებულმა პირმა კომენტარის გაკეთება შეძლოს მომართვაზე, საჭიროა სისტემაში სტუმრის სტატუსით შესვლის შემდეგ მან დამატებით გაიაროს ავტორიზაცია FaceBook-ის ანგარიშით.



განთავსებულია SMP მოდულში რეგისტრირებულ მომართვეებში (იხ. სურათი #14). მოსაზრების დაფიქსირება შესაძლებელია შემსყიდველის მიერ მომართვის წარდგენიდან ერთი სამუშაო დღის ვადაში.

სურათი #14

The screenshot shows a web interface for tender SMP210000011. At the top, there are navigation tabs: 'უკან' (Back), 'განახლება' (Refresh), and 'საჩივრები' (Complaints). The current page is titled 'SMP210000011 > განიხილება' (View). Below the navigation, there is a section for 'კომენტარები (0)' (Comments (0)), which is highlighted with a red box. A message below reads 'კომენტარები არ გაკეთებულა.' (No comments have been made). The main area contains a large text input field labeled 'ახალი კომენტარი' (New comment). Below this, there is a file upload section labeled 'ფაილი (თუ საჭიროა)' (File (if needed)) with a 'Choose File' button and the text 'No file chosen'. To the right of the file upload, it says 'pdf ფაილი. მაქს. ზომა 20 მბ.' (pdf file. max size 20 mb). Below the file upload, there is a 'კოდი' (Code) field with a CAPTCHA image and a 'ჩანერა' (Generate) button.

შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო ასევე იხილავს მომართვაზე დაინტერესებული პირების მიერ დაფიქსირებულ მოსაზრებებს.



2. ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის ანგარიშები (CMR)

იმისათვის, რომ შემსყიდველმა წარადგინოს შესაბამისი წლის განმავლობაში დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ თითოეული ხელშეკრულება (გარდა ტენდერებისა და კონკურსის შედეგად დადებული ხელშეკრულებისა) და მათთან დაკავშირებული ინფორმაცია, შემსყიდველი შედის სისტემაში და ღილაკზე დაჭერით გადადის CMR მოდულში.

CMR SMP რანჟირება ePLAN

ყურადღება!

CMR მოდულში უნდა აიტვირთოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ყველა ხელშეკრულების და მასთან გათანაბრებული ნებისმიერი დოკუმენტის (მათ შორის ცვლილებების განხორციელების და შეწყვეტის ამსახველი დოკუმენტის) ასლი, გარდა ტენდერის და კონკურსის შედეგად დადებული ხელშეკრულებისა.

ყოველი კონკრეტული ხელშეკრულების შესახებ მონაცემები უნდა აიტვირთოს ინდივიდუალური ანგარიშის სახით, რომელსაც სისტემა ავტომატურად ანიჭებს უნიკალურ ნომერს (მაგ. CMR110000001). ყოველ ინდივიდუალურ ანგარიშს უნდა მიეზღოს შესაბამისი კონკრეტული ერთი ხელშეკრულება ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი.

CMR მოდული და მასში ახალი ანგარიშის რეგისტრაციის ღილაკი გამოსახულია ქვემოთ მოყვანილ სურათზე.

მას შემდეგ, რაც მომხმარებელი გადავა რეგისტრაციის მოდულში, მან უნდა გამოიყენოს ღილაკი 'ახალი ჩანაწერი', რომლის დაჭერის შედეგად ეკრანზე გამოჩნდება ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი ფანჯარა.



შესყიდვის ტიპი / საფუძველი

მიმწოდებელი რეზიდენტი

პირადი ნომერი (კოდი/ID)

სახელი, გვარი (დასახელება)

არარეზიდენტი

ქვეყანა

პირადი ნომერი (კოდი/ID)

სახელი, გვარი (დასახელება)

კლასიფიკატორის კოდები

ხელშეკრულება მრავალწლიანი არა დიამ

ნომერი

დადების თარიღი

ძალაშია

თანხა GEL ▼

SMP ნომერი

დაფინანსება აუცილებელია

დამატებითი ინფორმაცია

- შესყიდვის ტიპი და საფუძველი: ამ ველში მომხმარებელმა უნდა მიუთითოს შესყიდვის ტიპი და საფუძველი ქვემოთ მოცემული სურათების მსგავსად

შესყიდვის ტიპი

შესყიდვის ტიპი / საფუძველი

გამარტივებული შესყიდვ

გამარტივებული შესყიდვა
კონსოლიდირებული ტენდერი
სპეციალური წესი
დონორის წესებითა და პროცედურებით

შესყიდვის საფუძველი



▼ *

მონეტარული ზღვრის დაცვით
გადაუდებელი აუცილებლობით
ექსკლუზივი
ხარისხის გაუარესება
სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიება
ჩანაცვლება
ნარმომადგენლობითი ხარჯები
ნორმატიული აქტით დადგენილი გადასახდელები
განსაზღვრული ნლოვანების ავტოსატრანსპორტო საშუალებები
სსიპ უმაღლ/საგანმანათლებლო დაწესებულებების გამონაკლისი გამარტივებული შესყიდვები
რეგენტთა საბჭოს თანხმობით
დაყოფა გეოგრაფიული დაშორების პრინციპით
დაყოფა რაციონალურობის პრინციპით
დაყოფა ობიექტური პირობებით
კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა (გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა)

შესყიდვის ტიპის და საფუძველის განსაზღვრის შემდგომ, მომხმარებელმა უნდა შეავსოს სამუშაო ველები;

➤ მიმწოდებელი (რეზიდენტი)

- პირადი ნომერი (კოდი/ID) სამუშაო ველში მომხმარებელი წერს მიმწოდებლის საიდენტიფიკაციო კოდს (ან პირად ნომერს ფიზიკური პირის შემთხვევაში). საიდენტიფიკაციო კოდის ნომრის ჩაწერის შემდგომ „სამეწარმეო რეესტრი“ ღილაკზე დაჭერით ან პირადი ნომრის ჩაწერის და ღილაკზე „სამოქალაქო რეესტრი“ დაჭერით ავტომატურად შეივსება ველი სახელი, გვარი(დასახელება) ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსად;

პირადი ნომერი (კოდი/ID)	<input type="text" value="36001004410"/>	<input type="button" value="სამეწარმეო რეესტრი"/>	<input type="button" value="სამოქალაქო რეესტრი"/>
სახელი, გვარი (დასახელება)	<input type="text" value="გოგიტა მჭედლიძეილი"/>		

- სახელი, გვარი (დასახელება) იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის საიდენტიფიკაციო კოდით (ან პირადი ნომრით, ფიზიკური პირის შემთხვევაში) ძებნა არ განხორციელდა და სახელი, გვარი (დასახელება) ველი არ შეივსო ავტომატურად, მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა ხელით შეავსოს აღნიშნული ველი.

➤ მიმწოდებელი (არარეზიდენტი)

- ქვეყანა ჩამოშლად სამუშაო ველში უთითებთ ორგანიზაციის (ან ფიზიკური პირის) წარმომავლობის ქვეყანას;




- **პირადი ნომერი(კოდი/ID)** სამუსაო ველში უთითებთ ორგანიზაციის რაიმე უნიკალურ ნომერს(ან ფიზიკური პირის პირად ნომერს);
- **სახელი, გვარი(დასახელება)** სამუშაო ველში უთითებთ ორგანიზაციის(ან ფიზიკურის პირის) დასახელებას.

ყურადღება!

მიმწოდებლის საიდენტიფიკაციო კოდის (ან პირადი ნომრის) და დასახელების/სახელის სწორად მითითებაზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება შემსყიველს და სააგენტო პასუხს არ აგებს აღნიშული ინფორმაციის არასწორად მითითების შემთხვევაში.

- **კლასიფიკატორის კოდები** ხელშეკრულების რეგისტრაციისას შემსყიდველი ასევე ვალდებულია მიუთითოს შესყიდვის კატეგორია და კლასიფიკატორის CPV კოდი. „კლასიფიკატორის კოდები“ ველში მომხმარებელს შეუძლია მიუთითოს

კლასიფიკატორის კოდის სახელწოდება. არანაკლებ 3 ასობგერის ჩაწერის შემდეგ სისტემა მარჯვნივ მოცემული სურათის მსგავსად



ავტომატურად იძლევა საშუალებას, რომ მომხმარებელმა აირჩიოს მის მიერ ჩაწერილი ასობგერების შესაბამისი შესყიდვის ობიექტი. დილაკზე „შერჩევა“ დაჭერით სისტემა ეკრანზე უჩვენებს კლასიფიკატორის კოდების იერარქიულ ჩამონათვალს, რომელთაგან მომხმარებელი ირჩევს მისთვის სასურველს.

ყურადღება!

შესყიდვის კატეგორია და კლასიფიკატორის CPV კოდის მითითება სავალდებულოა.

ყურადღება!

სისტემის მიერ ავტომატურად არის მონიშნული ველი „ერთწლიანი“. იმ შემთხვევაში, თუ შესყიდვა მრავალწლიანია, მომხმარებელმა უნდა მონიშნოს ველი „კი“ და მიუთითოს შესაბამისი წლების რაოდენობა, ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსად.



• ხელშეკრულება

ხელშეკრულება მრავალნაირი არა კი 2 ნელი

- **ნომერი** (ამ ველში მიეთითება ხელშეკრულების ნომერი, რომელიც მას მიანიჭა შემსყიდველმა და იგი დატანილია ხელშეკრულებაზე);
- **დადების თარიღი** (ამ ველში მიეთითება ხელშეკრულების დადების თარიღი);
- **მოქმედების ვადა** (ამ ველში მიეთითება ხელშეკრულების მოქმედების ვადა კალენდარის მოდულის გამოყენებით);
- **SMP ნომერი** (ეთითება იმ შემთხვევაში, თუ შესყიდვა განხორციელდა სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან შეთანხმებით გზით)
- **დაფინანსება** (ამ ველში მიეთითება რომელი წლის სახსრებით განხორციელდა შესყიდვა)
- **დამატებითი ინფორმაცია** (სამუშაო ველის შევსება სავალდებულო არ არის და ივსება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველს მიზანშეწონილად მიაჩნია რაიმე სახის დამატებითი ინფორმაციის დაფიქსირება, რომელიც არ არის მოცემული სავალდებულო ველებში);
- **თანხა** ამ სამუშაო ველში უნდა მიეთითოს თანხა, რომელზეც დაიდო ხელშეკრულება ან ხელშეკრულების ცვლილების შემთხვევაში, შეცვლილი თანხა შესაბამისი ვალუტის მითითებით. აღნიშნული ველის შევსება სავალდებულოა და ყოველთვის განსხვავდება ნულისაგან გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა და სპეციალური წესის შესაბამისად დადებული იმ ხელშეკრულებისა, სადაც არ არის მითითებული ხელშეკრულების ღირებულება;

ყველა სავალდებულო ველის შევსების შემდგომ 'ჩაწერა' ღილაკზე დაჭერით ხდება განცხადების ჩაწერა პროექტის სახით. იმისათვის, რომ მომხმარებელმა შეძლოს განცხადების პროექტის რეგისტრაცია, მან უნდა მიუთითოს დამატებით სავალდებულო ინფორმაცია, რომლის მითითება არ ხდება განცხადების ჩაწერისას და რომლის გარეშე ხელშეკრულების რეგისტრაცია შეუძლებელია.

- **ფაქტიურად გადახდილი თანხის დამატება** ამ ველის შევსება სავალდებულოა. იმ შემთხვევაში, თუ რეგისტრაციის დროს ფაქტობრივი გადახდა არ მომხდარა, ეთითება ნული (0);



- **დაფინანსების წყარო** ამ ველში უნდა მიეთითოს შესაბამისი დაფინანსების წყარო, რომლიდანაც ხდება სახელშეკრულებო თანხის გადახდა. რამდენიმე დაფინანსების წყაროს შემთხვევაში, მიეთითება თითოეული დაფინანსების წყაროს პროცენტული წილი;
- **დოკუმენტი** ამ ველში უნდა აიტვირთოს ერთი კონკრეტული ხელშეკრულება ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი (მათ შორის ცვლილების განხორციელების და შეწყვეტის ამსახველი დოკუმენტი. ეს დოკუმენტი უნდა იყოს PDF ფორმატში, მაქსიმალური ზომით 8 მეგაბაიტი. დოკუმენტების რაოდენობა შეზღუდული არ არის.

The screenshot shows a web interface for contract management. It includes several sections:


- თანხის დამატება** (Add contract): A dropdown menu for 'ტიპი' (Type) with 'ფაქტობრივად გადახდილი თანხა' (Actually paid amount) selected. Below it are fields for 'თანხა' (Amount) and 'GEL' currency, and buttons for 'გაუქმება' (Cancel) and 'დამატება' (Add).
- დაფინანსების წყაროები** (Sources of financing): A dropdown menu for 'დაფინანსების წყარო' (Source of financing) with 'სახელმწიფო ბიუჯეტი' (State budget) selected. Below it is a field for 'წილი' (Share) with a percentage sign, and buttons for 'გაუქმება' (Cancel) and 'დამატება' (Add).
- ხელშეკრულების მიმაგრება** (Attach contract): A section with a 'Choose File' button and 'No file chosen' text, and a 'მიმაგრება' (Attach) button.

 Red arrows labeled 1, 2, and 3 point to the 'ტიპი' dropdown, the 'დაფინანსების წყარო' dropdown, and the 'ხელშეკრულების მიმაგრება' section respectively.

ყურადღება!

იმისთვის, რომ შემსყიდველმა შეძლოს ხელშეკრულების ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის რეგისტრაცია, პირველ ეტაპზე უნდა შეიქმნას ხელშეკრულების შესახებ ანგარიში პროექტის სახით. ამის შემდგომ პროექტს ამატებს დაფინანსების წყაროს, ფაქტობრივად გადახდილ თანხას (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ამაგრებს ხელშეკრულების ასლს (PDF ფორმატი, მაქსიმალური ზომა 8 მეგაბაიტი) და ახდენს ხელშეკრულების რეგისტრაციას.

ანგარიშის პროექტის ზედა მხარეზე განთავსებულია ღილაკები:





- უკან ღილაკით მომხმარებელი ბრუნდება მთავარ გვერდზე;
- განახლება ღილაკით ხდება გვერდის განახლება;
- რეგისტრაცია ღილაკით ხდება განცხადების რეგისტრაცია;
- პროექტის წაშლა ღილაკით ხდება დაურეგისტრირებელი პროექტის წაშლა.

ერთობლივი შესყიდვის შემთხვევაში (როდესაც შესყიდვას ახორციელებს ერთი ან მეტი მონაწილე) შესაძლებელია შესაბამისი შემსყიდველების დამატება მათი წილის მითითებით.


ყურადღება!

შემსყიდველის დამატება ხდება მხოლოდ ერთობლივი შესყიდვისას.

ანგარიშის პროექტის და რეგისტრირებული ანგარიშის ფორმა ასახული არის ქვემოთ მოყვანილ სურათზე.

<p>გამარტივებული შესყიდვა შემსყიდველი: სატესტო შემსყიდველი (14598632468) მიმწოდებელი: ანა ჟუჟუნაშვილი (01017054834) ერთლიანი ხელშეკრულება 03400000 - შეტყვევობისა და ხე-ტყის პროდუქტები თანხა: 125.00 GEL</p>	<p>ანგარიშის პროექტი 22.03.2013 16:24</p>
<p>CMR130000044 გამარტივებული შესყიდვა შემსყიდველი: სატესტო შემსყიდველი (14598632468) მიმწოდებელი: ანა ჟუჟუნაშვილი (01017054834) ერთლიანი ხელშეკრულება 09100000 - სანჯავი თანხა: 20.00 GEL</p>	<p>რეგისტრაციის თარიღი 21.03.2013 12:38</p>

ყურადღება!

ანგარიშის პროექტის რეგისტრაციისას ყურადღება მიაქციეთ ეკრანის ზედა მარჯვენა კუთხის ნიშნის  სტატუსი: დაურეგისტრირებელი არსებობას. ეს ნიშანი მიუთითებს მომხმარებლის მიერ დაშვებულ შეცდომაზე. ამ ნიშნის დაჭერის შედეგად, ეკრანის მარცხენა ზედა კუთხეში გამოჩნდება შეცდომის აღწერა.



3. ელექტრონული გეგმის მოდული (ePLAN)

იმისათვის, რომ შემსყიდველმა წლიური გეგმა წარადგინოს ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადაში, შემსყიდველი **ePLAN** შედის სისტემაში და დილაკზე დაჭერით გადადის ePLAN მოდულში. შემდგომ ახალი წლიური გეგმის წარსადგენად აჭერს დილაკს „ახალი წლიური გეგმა“ და მიჰყვება ქვემოთ მოცემულ ინსტრუქციას.

[CMR](#)
[SMP](#)
[რანჟირება](#)
[ePLAN](#)

საფინანსო წელი:
ერთწლიანი/მრავალწლიანი:
ანგარიშსწორების საწყისი წელი:

შესყიდვის ვადები პირველი მეორე მესამე მეოთხე
(მონიშნეთ მინიმუმ ერთი კვარტალი)

კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი

სავარაუდო ღირებულება ლარი, დაფინანსების წყარო

შესყიდვის საშუალება

პრეისკურანტით კი არა

ორეტაპიანი ტენდერი კი არა

ალტერნატიული შესყიდვა კი არა

ერთობლივი შესყიდვა კი არა

შენიშვნა

- **საფინანსო წელი** - აღნიშნულ ველში უნდა აირჩიოს შესაბამისი საფინანსო წელი;
- **ერთწლიანი/მრავალწლიანი** - შემსყიდველმა აღნიშნულ ველში უნდა მიუთითოს ერთწლიანია შესყიდვა თუ მრავალწლიანი;
- **შესყიდვის ვადები** - შესყიდვის ვადებში იგულისხმება რომელ კვარტალში განხორციელდება შესყიდვა;

კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი - აღნიშნულ ველში შემსყიდველმა უნდა შეარჩიოს შესყიდვის ობიექტის შესაბამისი CPV კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი;

- **სავარაუდო ღირებულება** - სავარაუდო ღირებულების ველში შემსყიდველმა უნდა მიუთითოს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება;



- **დაფინანსების წყარო** - აღნიშნულ ველში შემსყიდველმა ქვემოთ მოცემული სურათის მსგავს ველში უნდა მონიშნოს რომელი დაფინანსების წყაროდან მოხდება დაგეგმილი შესყიდვის ობიექტის შექმნა;

დაფინანსების წყარო ?

- სახელმწიფო ბიუჯეტი
- ავტ. რესპ. ბიუჯეტი
- ადგილობრივი ბიუჯეტი
- საკუთარი სახსრები
- გრანტი/კრედიტი

- **შესყიდვის საშუალება** - აღნიშნულ ველში შემსყიდველმა უნდა მონიშნოს შესყიდვის რომელი საშუალებით განხორციელდება დაგეგმილი შესყიდვის ობიექტის შექმნა (იხ. ქვემოთ მოცემული სურათი);

სავარაუდო ღირებულება ლარი.

შესყიდვის საშუალება

პრეისკურანტით

ალტერნატიული შესყიდვა

ერთობლივი შესყიდვა

- ელ. ტენდერი
- გამ. ელ. ტენდერი
- კონკურსი
- გამ. შესყიდვა
- კონს. შესყიდვა

- **პრეისკურანტით** - აღნიშნულ მოსანიშნ ველში შემსყიდველი ირჩევს ვაჭრობის ტიპს - პრეისკურანტით ან პრეისკურანტის გარეშე;
- **ორეტაპიანი ტენდერი** - შემსყიდველი ირჩევს შესყიდვის საშუალებათ - ორეტაპიან ტენდერს;
- **ალტერნატიული შესყიდვა** - ამ ველის გააქტიურების შემთხვევაში შემსყიდველს შესაძლებლობა ექნება განახორციელოს საკომუნიკაციო მომსახურების ალტერნატიული შესყიდვა განსხვავებული მიმწოდებლისგან;
- **ერთობლივი შესყიდვა** - შემსყიდველს შეუძლია წლიურ გეგმაში მონიშნოს ერთობლივი შესყიდვის ველი, იმ შემთხვევაში თუ შესყიდვის ობიექტის შექმნა უნდა განხორციელდეს რამოდენიმე შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ერთობლივად.

ყურადღება!



შემსყიდველ ორგანიზაციათა შეთანხმება სახელმწიფო შესყიდვის ერთობლივად განხორციელების თაობაზე იდება წერილობითი ფორმით, რომელსაც ხელს აწერენ შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაციების ხელმძღვანელები ან მათ მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირები.


თუ, გსურთ, რომ თქვენს მიერ შევსებული გეგმა დარეგისტრირდეს სისტემაში, თქვენ უნდა დააჭიროთ ღილაკს „ჩაწერა“, წინააღმდეგ შემთხვევაში ღილაკს - „გაუქმება“.

ePLAN მოდულში ჩაშენებულია ძეზნის ფილტრები, რომელთა მეშვეობით რეგისტრირებულ დაინტერესებულ მომხმარებლებს შეუძლიათ მარტივად მოიძიონ მათთვის საინტერესო შესყიდვების წლიური გეგმა. ასევე, სისტემა მომხმარებლებს საშუალებას აძლევს წლიური გეგმის ჩანაწერების ექსპორტი მოახდინონ Excel-ში.



4. რანჟირების მოდული

მიმწოდებელთა რანჟირების მოდულში შესასვლელად თქვენ პირველ რიგში უნდა გაიაროთ ავტორიზაცია შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში, რის შემდეგაც ეკრანზე გამოჩნდება ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი ფანჯარა სხვადასხვა ელექტრონული მოდულების ჩამონათვალით.



„რანჟირება“ ღილაკზე დაჭერის შედეგად თქვენ გადახვალთ აღნიშნული მოდულის გვერდზე, საიდანაც შეძლებთ მოიძიოთ პოტენციური მიმწოდებლები თქვენთვის საინტერესო CPV კოდზე.

როგორც ქვემოთ მოცემულ სურათზეა ნაჩვენები რანჟირების მოდულს გააჩნია რამოდენიმე შესავსები ველი.

მიმწოდებლების რანჟირება

შესყიდვის კატეგორია

სახელშეკრულებო თანხა

მინოდების ვადები

რანჟირების თარიღი

ძებნა

- „შესყიდვის კატეგორიის“ ჩამოშლადი ველიდან უნდა აირჩიოთ თქვენთვის საინტერესო CPV კოდი;
- „ხელშეკრულების თანხის“ ველში ეთითება შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოების/მომსახურების/მოსაწოდებელი საქონლის სავარაუდო ღირებულება;
- „მიწოდების ვადების“ ველიდან უნდა მონიშნოთ შესასყიდი ობიექტის მოწოდების ვადები;
- „რანჟირების თარიღის“ საძებნ ველზე დაჭერით ეკრანზე გამოვა კალენდარი (იხ. ქვემოთ მოცემული სურათი), საიდანაც თქვენ შეგიძლიათ მონიშნოთ რომელიმე დღე და ღილაკზე „ძებნა“ დაჭერით სისტემა ავტომატურად გამოიტანს თქვენს მიერ მითითებულ თარიღის შესაბამისი რანჟირების ისტორიას.



მიმწოდებლების რანჟირება

▼ შესყიდვის კატეგორია

▼ სახელშეკრულებო თანხა

▼ მიწოდების ვადები

▼ რანჟირების თარიღი

მაისი 2017						
ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვი
1	2	3	4	5	6	7
8	9	10	11	12	13	14
15	16	17	18	19	20	21
22	23	24	25	26	27	28
29	30	31				

მოდულის ველების სრულყოფილად შევსების შემდეგ თქვენ უნდა დააჭიროთ მებნის ღილაკს, რის შედეგადაც სისტემა ავტომატურად მოახდენს თქვენს მიერ მოთხოვნილი პარამეტრების შესაბამისი პოტენციური მიმწოდებლების რანჟირებას.